

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

აგრარული
AGRO NEWS
АГРО

№2

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2016

ქურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

ავალიშვილი ნინო (სწავლული მდივანი);

წევრები: ურუშაძე თენგიზი; პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; მიქელაძე ალექსანდრე; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაკვალა; ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაია; კვლენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კეკელიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; მეტრეველი მარიამი; დვალაძე გულნარა; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

იოფე გრიგორი (აშშ); კავალიაუსკას ვიდასი (ლიტვა); ჩუხნო ინნა (უკრაინა); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სალინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza – (Editor in Chief);

Avalishvili Nino – (Academic Secretary);

Members: Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ukraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Авалишвили Нино – (Ученый Секретарь);

Члены: Урушадзе Тенгиз; Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чачхиани-Анашавили Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндиков Ултемурат (Казахстан)



შინაარსი

1 აგარული მეცნიერებანი
AGRICAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ

როლანდ კოპალიანი, ვლადიმერ უგულავა, მარიეტა თაბაგარი,
 შორენა კაპანაძე – ლავანდი – უნიკალური მცენარე
 (დამამშვიდებელი და მკურნალი) _____ 9

**Roza Lortkipanidze, Nino Avalishvili – PRECIOUS AND COLORED GEMS’
 CONSERVING TECHNOLOGIES THROUGH IMITATION
 METHODS _____ 13**

გიორგი ნიკოლეიშვილი, ელგუჯა შაფაქიძე – მებაზრუშემოგებაში ინვესტიციების
 დაბანდება – ღარბის ალორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორია
 _____ 15

რეზო ჯაბნძე – სოფლის ცხოვრება პრიორიტეტი უნდა გახდეს _____ 20

ვახტანგ ქობალია – მანღარინის სელექციისათვის საწყისი მასალის
 ანალიზის შედეგები _____ 29

ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი – საქართველოს მცენარეთა სამყაროს
 მღვთმარეობა, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის
 პრობლემები _____ 33

როზა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან შავაძე – ვაზის ფილოქსერა
 საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფილოქსერაბამბლე
 საძირე ვაზით _____ 38

მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე, ვლადიმერ უგულავა – ლურჯი მოცვის
 ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის შესწავლა
 სამებრელოს რეგიონის პირობებში _____ 45

ლეილა ბაზერაშვილი, ლევან შავაძე – ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*)
 აღმოსავლეთ საქართველოში _____ 50

ტრისტან ჯობავა – სოკო ფომა ტრახეოფილათი ლიმონ ქართულის,
 მეიერისა და დიოსკორიას ახალგაზრდა მცენარეების
 ხელოვნური დასენიანების შედეგები _____ 54

**Чачхиани-Анасашвили Нуну, Чабукиани Мэри, Чабукиани Рани –
 ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ
 ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОПРЫСКИВАНИЯ
 ПЛАНТАЦИЙ ФУНДУКА _____ 59**



ვაჟა თოდუა, ლეილა გიორგობიანი, დალი ბერიკაშვილი, სოფიო ცეციტაია – ფლავონოიდები, ფენოლები, კუმარინები, ტერპენები და მინერალური შენაერთები ველური ხილის შემადგენლობაში, მათი ჟანგბადითი პროცესები და გამოყენება სამკურნალოდ	63
ელენე ხუციშვილი, მზია კურდღელია – ეთერზეთოვანი ვარდის ჯიშების კალმების დაფოსფინების უნარი	72
Nino Kelenjeridze – THE IMPACT OF ORGANIC-MINERAL FERTILIZERS IN VINE LEAVES ON THE CONTENT OF MINERAL NUTRIMENT ELEMENTS	75
ალექსანდრა ჩაფიჩაძე, მაკა ყუბანეიშვილი – იმერეთის ვახის ჯიშები	77
ცირა ჟორჟოლიანი, ეზარ გორდაძე – მცირერიცხოვანი კოკულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პრობლემა საქართველოში	82
ნინო ყიფიანი – სიღერატებისა და მულჩირების გავლენა ციტრუსოვანთა ყინვაბამკლეობაზე	87
მაია ხელაძე – წყლის მიერ მქანნიკური მოქმედებით გამოწვეული ეროზიული მოვლენების ზოგიერთი საკითხი.	90
ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, ნატალია სანთელაძე – იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებული ვეიკოას მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები	94
მზია კურდღელია – ფსტის კულტურის პერსპექტივა საქართველოში	97
დემეტრე ლიპარტია – ყავისფერი მარმარა ბაღლინჯო	101
ნარგიზა ალასანია – აჭარის ზღვისპირა რეგიონში ტემპერატურის გავლენა ლობიოსა და ბამიას აღმონაცენების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე	104
ნანა გოგიშვილი, ქეთევან კინწურაშვილი – სუბტროპიკული ხურმის მიკრობიოლოგიური გაფუჭების მიზეზების გამოკვლევა ტრანსპორტირებისას	108
მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – ჩაის თანამედროვე ნედლეულის გამოკვლევა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში	113
Malkhazi Mikaberidze – POSSIBILITIES AND PROSPECTS OF BLANCHING AGRO RAW MATERIALS IN THE FIELD OF INFRARED RAYS	119
ეკატერინე ბენდელიანი, მაყვალა ფრუიძე – სვიის - <i>Humulus lupulus L.</i> , გავლენა ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე	122
Varlam Aplakov – THE ROLE OF WINE BASIC COMPONENTS IN LYSINE BIOSYNTHESIS DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION	128



პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ



თამარ ხუციძე, ელისო ჩიხლაძე – მწვანე ჩანის 50%-იანი წყლიანი ექსტრაქტის ანტიმიკრობული კვლევა სახის კანის კათობენურ მიკროორგანიზმებზე _____ 131

მაყვალა ფრუიძე, გიორგი ჩახნაშვილი – ეთერზეთების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში _____ 134

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – შუქ-ჩრდილების ურთიერთობები ლანდშაფტურ არქიტექტურაში _____ 139

ეკატერინა გუბელაძე – ძ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარება და გამწვანების რეკონსტრუქცია _____ 144

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – პერსპექტივის კანონების გამოყენება მწვანე მშენებლობაში _____ 149

მარინა კუცია – ანთროპოგენული ტოქსიკაცია და ეკოლოგიური პრობლემები _____ 154

ქეთევან ქუთელია – მცენარეები ზოლიაქოს ნიშნების მიხედვით _____ 157

2 ბიზნესის ადმინისტრირება
BUSINES ADMINISTRATION
АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА

ზეინაბ ახალაძე, მანანა შალამბერიძე – სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მღვდომარეობა იმერეთის რეგიონში _____ 163

დალი სილაგაძე – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის შემდგომად _____ 169

3 ინჟინერია
ENGINEERING
ИНЖЕНЕРИЯ

მერაბ მამულაძე, სოსო თავბერიძე – დიზელის საწვავზე მომუშავე მოტოციკლეტში ვიბრაციის გამოკვლევა სხვადასხვა სახის საწვავი ნარევის მიწოდების შემთხვევაში _____ 177

მამუკა წიქორიძე – ნიადაგის მელორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა _____ 183

სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, ზურაბ ციხაძე, თეიმურაზ ცხადაშვილი, ნესტან ბურჯალიანი – სატრაქტორო აბრეგატის ძირითადი მახასიათებლების მოდელირების წანამოდვრები სტატისტიკური დინამიკის თეორიის საფუძველზე _____ 186



4 **მულტიდისციპლინარული დარგები**
MULTIDISCIPLINARY BRANCHES
МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ

**Изоolda Хасая – СЕЛЬСКИЙ ТУРИЗМ, КАК СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ
РЕГИОНА ИМЕРЕТИ, ГРУЗИЯ _____ 195**

**სერგო ცაგარეიშვილი, აკაკი ნასყიდაშვილი, მათა დიაკონიძე – ტურისტულ-
რეკრეაციული საქმიანობა იმერეთის რეგიონში _____ 202**

**გიორგი ჯაბნიძე – აბრტურიზმის მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში _____ 207**

1 აგრონომიის მეცნიერება AGRICULTURAL SCIENCES АГРАРНЫЕ НАУКИ





**მანდარინის სელექციისათვის საწყისი მასალის ანალიზის
 შედეგები**

ვახტანგ ქობალია

სმმკ, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ნებისმიერი სელექციური პროცესი იწყება საწყისი მასალისა და მისი მრავალფეროვნების ანალიზით. ნაშრომში გამოვლენილია საცდელ ნაკვეთებზე არსებული მანდარინის ნუცელარული, კლონური და ჰიბრიდული წარმოშობის მრავალრიცხოვანი ფორმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ნიშნების ანალიზის შედეგად მოსავლიანობის, ყინვაგამძლეობის, ადრემწიფადობისა და ნაყოფების ხარისხიანობის მიხედვით შემდგომი სელექციური მუშაობისათვის პერსპექტიული საწყისი მასალა.

სელექციური ჯიშის, როგორც მოსავლიანობის ამალგების ფაქტორის, მნიშვნელობა ძალიან დიდია. იგი წარმოადგენს პროდუქციის წარმოების გაზრდის არა მარტო მნიშვნელოვან, არამედ ეკონომიკურად ყველაზე მომგებიან საშუალებას. სელექციური ჯიშები და სელექციის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნიშნებითა და თვისებებით.

ამ ნიშნებისა და თვისებების სამეურნეო მნიშვნელობა ერთნაირი არ არის: ზოგს მეტი მნიშვნელობა აქვს, ზოგს – ნაკლები. მცენარეთა ნიშნები პირობითად იყოფა ორ ჯგუფად: ხარისხობრივი (ადვილად დგინდება ვიზუალურად) და რაოდენობრივი (დგინდება გაზომვის, აწონვისა და დათვლის გზით). ნებისმიერ ხარისხობრივ ნიშანს შეიძლება მიეცეს რაოდენობრივი დახასიათება.

არსებობს მცენარეთა მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, ტექნოლოგიური თავისებურებები ანუ ნიშნები. მორფოლოგიურ ნიშნებს მიეკუთვნება ფოთლის სიდიდე, ფორმა, ნერვაცია, ფერი, ყლორტის ფორმა, შეფოთვლა; კვირტის ფორმა, სიდიდე; ვარჯის ფორმა, შტამბის ფორმა, ფერი, სიმსხო, სიმაღლე; ფესვთა სისტემის ფორმა; ყვავილისა და ყვავილედის ფორმა, სიდიდე, ფერი; ნაყოფის სიმსხო, ფორმა, ფერი და ა.შ. მცენარეთა ფიზიოლოგიური თვისებებია – მათი გვალვაგამძლეობა, სიცივეგამძლეობა, ყინვაგამძლეობა, დაავადებებისა და მავნებლებისადმი გამძლეობა, მაღალი აგროფონისადმი რეაქცია. ბიოქიმიური თვისებები განისაზღვრება სხვადასხვა ნივთიერებების (შაქრები, მჟავები, ვიტამინები და სხვა) რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედგენილობით. ტექნოლოგიური თვისებები დაკავშირებულია მათ სამრეწველო გამოყენებასთან. ჩვენი კვლევის ობიექტად აღებული მანდარინი წარმოდგენილია ამ ნიშნებითა და თვისებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული მრავალრიცხოვანი ფორმებით.



ნებისმიერი სელექციური პროცესი იწყება საწყისი მასალისა და მისი მრავალფეროვნების ანალიზით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის მცენარეთა სელექციისა და გენეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიისა და სენაკის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული მანდარინის სხვადასხვა წარმოშობის (ნუცელარული, კლონური, ჰიბრიდული) მრავალრიცხოვანი ფორმის ანალიზის შედეგად გამოვლენილია მასალა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის. გამოკვლევები ჩატარდა 2008-2015 წლებში. შესწავლილ იქნა 58 ფორმა. აქედან მანდარინ “ადრეულას” 15 ნუცელარული თესლნერგი და 1 კლონი, მანდარინ უნშიუს 22 კლონი და 17 ნუცელარული თესლნერგი, მანდარინ უნშიუს ტრიფოლიატის (*P. trifoliata* Raf.) მუტანტი #1-თან 3 ჰიბრიდი. ჩატარებულ იქნა ფენოლოგიური, მორფოლოგიური, ბიომეტრიული, ბიოქიმიური დაკვირვებები. გამოზამთრების პერიოდში გამოვლენილ იქნა მცენარეთა რეაქციები კლიმატურ პირობებზე.

დაკვირვების ჩატარების პერიოდში მეტეოროლოგიური პირობები განსხვავდებოდა მოსული ნალექების რაოდენობისა და საშუალო თვიური ტემპერატურის სიდიდით, ქარის სიძლიერითა და ინტენსივობით, მცენარეების გამოზამთრების პირობებით, რამაც საშუალება მოგვცა საკმაოდ ობიექტურად შეგვეფასებინა შესასწავლი საწყისი მასალა. სავგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით ყველა შესასწავლი მცენარე დაყოფილ იქნა 3 ჯგუფად: ადრემწიფადები, საშუალომწიფადები და გვიანმწიფადები. მანდარინის აღნიშნული ფორმების შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო სტანდარტულ ჯიშებთან (ფართოფოთლიანი მანდარინი უნშიუ, მანდარინი ადრეულა) შედარებით ადრემწიფადი ფორმები. ისინი წარმოადგენენ საინტერესოს ადრემწიფადი მანდარინების სელექციაში. ეს განპირობებულია იმით, რომ ვეგეტაციური პერიოდის ხანგრძლივობა განისაზღვრება არა მარტო გენეტიკური ბუნებით, არამედ საარსებო გარემო პირობებით, რომელთა შორის მნიშვნელოვანს წარმოადგენს ტემპერატურა, კვების ელემენტები და ტენით უზრუნველყოფა.

მანდარინის პლანტაციებში ყოველწლიურად შეინიშნება მცენარეების დაღუპვა. მოსავალზე გავლენის მომხდენ ფაქტორებს მიეკუთვნება – დაბალი ტემპერატურა, მცენარეების დაზიანება დაავადებებისა და მავნებლებისაგან და სხვა. ამ არახელსაყრელი ფაქტორებისადმი ეფექტური წინააღმდეგობისათვის მცენარეს უნდა გააჩნდეს საკმაოდ გამოხატული ადაპტური თვისებები: ცინვაგამძლეობა, დაავადებებისა და მავნებლებისადმი იმუნიტეტი, სხვა სტრესული ფაქტორებისადმი გამძლეობა. მცენარეების შესწავლის პერიოდში (2008-2015 წ.წ.) აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით გამორჩეულ იქნა ფორმები: მანდარინ “ადრეულას” კლონი №200253 და ნუცელარული თესლნერგები №0932 და №01167, ფართოფოთლიანი მანდარინ უნშიუს კლონი #2003300/4 და ნუცელარული თესლნერგები №№87301-21, 87571-5, 87507-10/1, 88151/1, მანდარინ უნშიუს ჰიბრიდი 2009/1018 [1,2,5].

გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში არახელსაყრელმა პირობებმა გავლენა იქონია მცენარეების მოსავლიანობაზე. ამან საშუალება მოგვცა საცდელი ნაკვეთის პირობებში გა-



მოგვევლინა შესაწავლი ფორმების რეაქციები მოსავლიანობის ფორმირებაზე. კვლევის პერიოდში გამოვლინდა ფორმები, რომლებიც თავიანთი მოსავლიანობის მაჩვენებლებით ამკარად აღემატებიან სტანდარტულ ჯიშებს და შემდგომ სელექციურ მუშაობაში საწყისი მასალის შესაქმნელად იქნებიან გამოყენებული.

ადრემსხმოიარე ფორმების ჯგუფში გამორჩეულ იქნა ფორმა – მანდარინ ადრეულას ნუცელარული თესლნერგი №0992, რომლის პროდუქტიულობა სტანდარტულ ჯიშთან შედარებით 8,7 კგ-ით მეტი იყო და შეადგინა 29.8 კგ [1].

საშუალომწიფადი ფორმების ჯგუფში ყველაზე მეტი ნაყოფმსხმოიარობა გამოვლინდა ფორმებში: მანდარინ უნშიუს კლონი #2003300/4, რომლის პროდუქტიულობამ შეადგინა 34.4 კგ., რაც სტანდარტს აღემატება 9.1 კგ-ით; მანდარინ უნშიუს კლონი #200005, პროდუქტიულობით 35,9 კგ (მატება სტანდარტთან შედარებით 10.6 კგ); მანდარინ უნშიუს ნუცელარული თესლნერგი #87301-90 – 45.5კგ, (მატება 20.2 კგ) [3,4].

გვიანმწიფადი ფორმების ჯგუფში აღნიშნული ნიშნით გამორჩეულ იქნა ფორმა – მანდარინ უნშიუს ნუცელარული თესლნერგი #87507-10/1 (40.9 კგ) მატებამ შეადგინა 14,7 კგ, ასევე ნუცელარული თესლნერგი #88151/1, რომლის პროდუქტიულობამ შეადგინა 39.1 კგ, რაც სტანდარტთან შედარებით 13,8 კგ-ით მეტია [4].

დაკვირვების პერიოდში ყველა შესასწავლი ნიშნის მიხედვით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს ფორმები, რომელთაც გააჩნიათ საუკეთესო მაჩვენებლები:

ადრემწიფადი ფორმების ჯგუფში – მანდარინ ადრეულას ნუცელარული თესლნერგი №0992, ამ ფორმის ყველა მაჩვენებელი, მაღალ ცინვაგამძლეობასთან, ნაყოფის მაღალ ხარისხთან და მაღალ პროდუქტიულობასთან ერთად, იყო მაღალი ან ტოლი სტანდარტული ჯიშის.

საშუალომწიფად ჯგუფში ნიშანთა კომპლექსის მიხედვით გამორჩეულ იქნა მანდარინ უნშიუს ნუცელარული თესლნერგი #88192/10 – მოსავლიანობა 34,3 (მატება. 9.0 კგ), მაღალი ცინვაგამძლეობა, ნაყოფების მასა 73.4გრ, ნაყოფების ხარისხი მაღალი; მანდარინ უნშიუს კლონი #2003300/4 და მანდარინ უნშიუს კლონი #200005, რომელთაც მაღალ ცინვაგამძლეობასთან და პროდუქტიულობასთან ერთად გააჩნიათ ნაყოფების კარგი ხარისხი.

რაც შეეხება გვიანმწიფადი ფორმების ანალიზს, აქ ნიშანთა კომპლექსის მიხედვით აუცილებელია გამოიყოს ფორმა – მანდარინ უნშიუს ნუცელარული თესლნერგი #87507-10/1. მისი პროდუქტიულობა 40.9 კგ-ს ფარგლებშია, რაც 14,7 კგ-ით მეტია, ვიდრე სტანდარტის. ასევე მაღალია ცინვაგამძლეობის უნარი და ნაყოფების მასა (68,9 გრ).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ქობალია. მანდარინ „ადრეულას“ ნუცელარული თესლნერგების ფორმათა მრავალფეროვნების ბიო-მორფოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლის შედეგები. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგროNEWS, 2016, №1, გვ. 42-47.



2. ვ. ქობალია. თ. ჯობავა. მანდარინ ადრეულას კლონზე ჩატარებული სელექციური მუშაობის შედეგები. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, 2015, გვ. 83-92.
3. ვ. ქობალია, ტ. ჯობავა. ექსტრემალურ პირობებში გამორჩეული მანდარინ უნშიუს კლონების ზრდისა და ნაყოფმსხმოიარობის თავისებურებები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ.33, თბილისი, 2014, გვ. 21-25.
4. ვ. ქობალია. მანდარინ უნშიუს ტრიფოლიატას სხვადასხვა ფორმებთან და იჩანგენზისთან შეჯვარებით მიღებული ნუცელარული თესლნერგების შემდგომ სელექციურ მუშაობაში გამოყენების შესწავლა სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2013, #1, გვ. 63-68.
5. ვ. ქობალია. მანდარინ უნშიუს სხვადასხვა კლონის მსხმოიარობაში შესვლის ვადის, ზრდისა და პროდუქტიულობის თავისებურებები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2015, #1(5), გვ. 10-17.

RESULTS OF ANALYSIS OF INITIAL MATERIALS FOR SELECTION OF MANDARIN

Vakhtang Kobalia

Academic doctor of agriculture, Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

Any selection process starts by analyzing initial material and its variety. In the work there is found perspective initial material for selective working according to productivity, frost-resistance, early-ripeness and fruit quality as a result of analyzing quantitative and qualitative signs of mandarin nucellar, clone and hybrid numerous forms grown in the experimental lands.

РЕЗУЛЬТАТЫ АНАЛИЗА ИСХОДНОГО МАТЕРИАЛА ДЛЯ СЕЛЕКЦИИ МАНДАРИНА

Кобалия Вахтанг

Академический доктор сельского хозяйства, Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

Любой селекционный процесс начинается с анализа исходного материала и от его разнообразия. В результате анализа количественных и качественных признаков многочисленных форм мандарина нуцеллярного, клонового и гибридного происхождения, выявлен перспективный исходный материал для дальнейшей селекционной работы по повышению урожайности, морозоустойчивости и раннеспелости плодов мандарина.